საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №13

ქ.ლანჩხუთი **09.08.2018.**

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: დავით ჩხარტიშვილი, თორნიკე ტიკაძე, ამირან გიგინეიშვილი, იოსებ ჩხაიძე, ზურაბ კუკულავა და აკაკი იმნაიშვილი. სხდომას ასევე ესწრებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ა. მახათაძე/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/ მომხსენებელი: ა. მახათაძე /

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში შევიდა ცვლილებები მიმდინარე წლის 28 ივნისის N1316 და 11 ივლისს N1397 განკარგულებებით, რის საფუძველზე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 4335415 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების მიზნით გამოიყო 139417 ლარი, ანუ მიმდინარე საფინანსო წელში ინფრასტრუქტურის პროექტების დაფინანსებაზე მიიმართება 4474832 ლარი, მათ შორის: საგზაო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 2986920 ლარი, აქედან თანადაფინანსება შეადგენს 63988 ლარს; კულტურის ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიიმართება 979337 ლარი, თანადაფინანსება 50000 ლარი; ბინათმშენებლობაზე 105965 ლარი, თანადაფინანსება 5298 ლარი; წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიიმართება 402610 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 20131 ლარი. აღნიშნული ცვლილებები ბიუჯეტში ასახული უნდა იქნეს როგორც შემოსავლით, ასევე ხარჯვით ნაწილში.

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხის არაფინანსური აქტივების მუხლი უნდა გაიზარდოს 25720 ლარით, ხოლო სხვა ხარჯების მუხლი 5280 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 01 აგვისტოს N1468 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 200000 ლარი; ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის წერილის საფუძველზე სტიქიის შედეგად დაზიანებული მოსახლეობის სახლების სახურავის მასალების შეძენისათვის მიიმართა 113792 ლარი; ჩიბათის და ღრმაღელის ადმინისტრაციული შენობების სახურავის სრულად აღდგენის სამუშაოებზე 69649 ლარი და აცანის საბავშვო ბაღის სახურავის სრულად აღდგენის სამუშაოებზე 16559 ლარი.

როლანდ ლაშხიამ სხდომას წარუდგინა ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალი, რომელთა დაფინანსებაც იყო ასახული წარმოდგენილ საკითხში. მან ასევე აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად ჩაითვალა გაიზარდოს: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების სუფსიდირებით დაფინანსება 4000 ლარით, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის სუფსიდირება 41900 ლარით, ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის, ინვესტიციების და ტურიზმის ცენტრის სუბსიდიით დაფინანსება გაიზარდოს 14000 ლარით, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების სუბსიდირების დაფინანსება გაიზარდოს 48700 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდოს 15000 ლარით, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კლუბ ლანჩხუთის გურიას სუბსიდიით დაფინანსება გაიზარდოს 25000 ლარით, შპს ლანჩხუთის დაფინანსება გაიზარდოს 5000 ლარით. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის I და II ჯგუფის ინვალიდების, ასევე უკიდურესად დამძიმებული ჯანმრთელობის მქონე პირების ერთჯერადი დახმარების პროგრამა გაიზარდოს 20000 ლარით, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამა გაიზარდოს 15000 ლარით, დამატებით გამოიყოს ციფრული მოქალაქის ოფისის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 16000 ლარი, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შედეგად ნარჩენების გატანისათვის მიიმართოს 4000 ლარი. მუნიციპალიტეტის მერიის ოფისის ხარჯი გაიზარდოს 3000 ლარით და ტრანსპორტის რემონტის ხარჯი 5000 ლარით. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ტრანსპორტით მომსახურების ხარჯი გაიზარდოს 4000 ლარით, სოც:კულტურული ღონისძიებების ტრანსპორტით ხარჯი გაიზარდოს 4000 ლარით, ბახმაროს ფესტივალის თანადაფინანსება 800 ლარი.

აღნიშნული ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი გაიზარდოს 282578 ლარით უცხოური საწარმოთა ქონების გადასახადის ზრდის ხარჯზე.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის“-ს წერილის საფუძველზე მიზანშეწოლილად ჩაითვალა, დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში არაფინანსური აქტივების მუხლის 45000 ლარის შემცირების ხარჯზე, გაიზარდოს სუბსიდირების დაფინანსება 45000 ლარით.

დეპუტატმა ამირან გიგინეიშვილმა გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ ციფრული მოქალაქის ოფისის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე თანხის გამოყოფა ბიუჯეტიდან არამიზნობრივი ხარჯია. როლანდ ლაშხიამ კი განმარტა, რომ აღნიშნული ოფისისთვის ერთი ოთახი გამოიყო საჭადრაკო სკოლის შენობაში, რომელსაც უნდა ჩაუტარდეს რეაბილიტაცია და ოფისი განკუთვნილი იქნება მოსახლეობის თანამედროვე ტექნოლოგიით მომსახურებისთვის.

დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა დააყენა წინადადება, რომ მოხდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის გაზიფიცირება და შესაბამისად მოხდება აღნიშნული კუთხით ხარჯების შემცირება.

დეპუტატმა ამირან გიგინეიშვილმა დააყენა წინადადება, რომ მოხდეს ადმინისტრაციული შენობის გაზიფიცირების პროექტის მომზადება.

დეპუტატმა თორნიკე ტიკაძემ გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ როდესაც შეიქმნა საფეხბურთო კლუბი "ჩიბათი" ხელმძღვანელობა ამბობდა, რომ კლუბი არ დაფინანსდებოდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან. აღნიშნული კლუბისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან

თავდაპირველად გამოიყო 15 000 ლარი, შემდგომ კლუბს დაემატა 5000 ლარი და დღეს წარმოდგენილ სპორტული ცენტრის დაფინანსებაში 5000 ლარი განკუთვნილია ჩიბათის საფეხბურთო კლუბის დასაფინანსებლად. გამომდინარე აქედან ნათელი ხდება, რომ აღნიშნული კლუბი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ფუნქციონირებს, რაც არასწორია. არის რამდენიმე მუნიციპალიტეტი, რომელშიც არ არის არცერთი საფეხბურთო კლუბი და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 4 ფეხბურთის გუნდი ფუნქციონირებს, რაც ზედმეტი ხარჯია ადგილობრივი ბიუჯეტისთვის.

დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა სოფელ გვიმბალაურის ნაცვლად ფეხბურთის აკადემია განთავსებული ყოფილიყო გრიგოლეთის საფეხბურთო ბაზასთან ახლოს.

ალექსანდრე მახათაძემ დააყენა წინადადება, რომ უახლოეს მომავალში მოწვეულ იქნას კომისიის გაფართოებული სხდომა საფეხბურთო კლუბ "ლანჩხუთის გურიას" თემასთან დაკავშირებით, სადაც მოწვეული იქნებიან მინიციპალიტეტის მერი, მერიის აუდიტის სამსახური, საკრებულოს თავმჯდომარე და ყველა დაინტერესებული პირი. სხდომის მიზანი იქნება გაირკვეს აღნიშნულ საფეხბურთო კლუბში წარმოქმნილი დავალიანების მიზეზი და მისი კანონთან შესაბამისობა.

დეპუტატმა თორნიკე ტიკაძემ გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ რამდენიმე თვეა ყველა კომისიის სხდომაზე ლაპარაკია გასულ წლებში საფეხბურთო კლუბ "ლანჩხუთის გურიას" მიერ აღებული დავალიანებების დაფარვაზე. ყოველთვის ვითხოვთ პასუხისმგებლობის დაკისრებას ყველა იმ პირზე ვისი ბრალეულობაც იკვეთება და საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

დეპუტატმა დავით ჩხარტიშვილმა აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბ "ლანჩხუთის გურიას" გასულ წლებში იმაზე მეტი ვალდებულება აქვს აღებული, ვიდრე მას ბიუჯეტით ჰქონდა განსაზღვრული.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტის კორექტირებულ ვარიანტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-1(იოსებ ჩხაიძე).

დღის წესრიგის მეორე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 6 თვეში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მობილიზებულია 2136050 ლარი, რაც წლიური გეგმის 82,6 %-ს შეადგენს, ხოლო წინა წელთან შედარებით 1075789 ლარით მეტია, რაც გამოწვეულია უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) დაუგეგმავი გადასახადის გადახდით. აღნიშნულის შედეგად ქონების გადასახადის წლიური გეგმა 142,1 %-ით არის შესრულებული. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის წლიური გეგმის შესრულება 34,4 %-ს შეადგენს, ასევე რთულად მიმდინარეობს მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის და სანებართვო მოსაკრებლის თანხების ბიუჯეტში მობილიზაციის საკითხი. ჩვენი მოსაზრებით, ამ მიმართულებით კონკრეტული ღონისძიებებია გასატარებელი, რათა ბიუჯეტს კუთვნილი თანხები არ დააკლდეს. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერებს მოთხოვნის შესაბამისად შეუფერხებლად ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. საანალიზო

პერიოდში გაწეულია 5867474 ლრის ხარჯები, აქედან არაფინანსური აქტივების (ინფრასტრუქტურის პროექტები) მუხლის ხარჯი 1453234 ლარს შეადგენს, რაც საფინანსო წელში განსახორციელებლი პროექტების ხარჯის 30,1 %-ს შეადგენს. ამ მიმართულებით გაასაქტიურებელია საქმიანობა რათა ინფარსტრუქტურული პროექტები დასრულდეს დაგეგმილ ვადებში. 6 თვეში შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 790980 ლარი, გაწეული მიმდინარე ხარჯების 17,9 %-ი, შტატგარეშე მუშაკების შრომის ანაზღაურებამ 65081 ლარი შეადგინა ხარჯების 1,5 %-ი, ოფისის ხარჯები 128436 ლარს შეადგენს ხარჯების 2,9 %-ი, მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მოვლა შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯებზე მიმართულია 74675 ლარი გაწეული ხარჯების 1,7 %-ი, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯი 150389 ლარი ხაარჯების 3,4 %-ი, სუბსიდიით დაფინანსებაზე მიიმართა 2761310 ლარი ხარჯების 62,6 %-ი სოც:უზრუნველყოფის მუხლით გაიხარჯა 297546 ლარი ხარჯების 6,7 %-ი, სხვა ხარჯების მუხლით 221362 ლარი გაწეული ხარჯების 5 %-ი, სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად გახარჯულია 17400 ლარი.

როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის 82,6%-ით შესრულება აიხსნება იმ გარემოებით, რომ უცხოურ კომპანიებმა "სინოიდრომ" და "ტოდინიმ" ადგილობრივ ბიუჯეტში შემოიტანეს 858329 ლარი.

დეპუტატმა ამირან გიგინეიშვილმა დააყენა წინადადება, რომ სამომავლოდ მერმა წარმოადგინოს ბიუჯეტის როგორც ფინანსური, ასევე პროგრამული ანგარიში.

დეპუტატმა იოსებ ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან მოხდა უპოვართა სასადილოს ლიკვიდაცია და ბენეფიციარების გამოკვება ხდება ტენდერის მეშვეობით, ამიტომ აუცილებელია მომავალი წლისთვის სანამ ახალი ტენდერი გამოცხადდება რაიმე ალტერნატიული გზის მოძებნა, რომ ბენეფიციარების გამოკვება არ შეფერხდეს.

წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგის მეორე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში კომისიის წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ქ. ლანჩხუთი 09.08.2018 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №13

2018 წლის 9 აგვისტოს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში კომისიის წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე : **ალექსანდრე მახათაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

09.08.2018 წელი
15:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	14 55	
2	თორნიკე ტიკაძე	14 53	
3	გიორგი ჩახვაძე	[illegible]	
4	დავით ჩხარტიშვილი	15 00	
5	ამირან გიგინეიშვილი	15 00	
6	იოსებ ჩხაიძე	14 45	
7	აკაკი იმნაიშვილი	15 00	
8	ზურაბ კუკულავა	15.00	